თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

12.03.2018 წელი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ლილუაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - ლ. ბერძენაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და დაცვის სამსახურის უფროსი - მ. ბალუაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - გ. თავზერიძე; ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე - მ. მარკოზაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი;

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხსენებელი - დ.გოგოშვილი

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის წესის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

5. თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უპირობოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.
<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა. შათირიშვილი, ლ. მრელაშვილი, ტ. დარეჯანიშვილი, ნ.ხვისტანი - წარმოდგენილი საკითხი უკან დაუბრუნდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი"-ს დირექტორმა წარმოადგინოს დამატებითი არგუმენტაცია.
<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით განიხილოს აღნიშნული საკითხი.

<u>მოისმინეს:</u>2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის პროექტის განხილვის შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> წარმოდგენილი პროექტი მიღებულ იქნას ცნობად და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:3.</u> თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის წესის პროექტის განხილვის შესახებ.
<u>გადაწყვიტეს:</u> მოწონებულ იქნას წარმოდგენილი პროექტი და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს:4. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვა.

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას წარმოდგენილი პროექტი და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს:5 თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილი; ლ.ფარსადანიშვილი წარმოადგინა წლიური ბიუჯეტების განხილვის შესახებ ანგარიში, რაც მდგომარეობს შემდეგში:

თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 26 დეკემბერს - 10460,9 ათ. ლარის ოდენობით. 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის 1459,8 ათ. ლარის გადასახდელებში ასახვით და რიგი ცვლილებებით, ასევე საქართველოს მთავრობის 20 ოქტომბრის #471 დადგენილების, 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, ნაშთით დაბალანსებით 350,513 ათ. ლარით და ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა (მ.შ. სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებისა და ვალდებულებების კლების მუხლის გათვალისწინებით) შეადგენდა - 17382,58 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 14286,82 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა- 82,19%-ით. საკუთარი შემოსულობების გათვალისწინებით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა - 13243,8 ათ. ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 11356,44 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა - 85,75%. შესრულების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია. განვიხილოთ ძირითადი მაჩვენებლები:

შემოსულობების მიხედვით

2017 წლის მდგომარეობით მიღებული შემოსულობების მოცულობამ - 11812,29 ათ. ლარი და წლიური გეგმის 101,35% შედგინა. თანხების მობილიზება წლის განმავლობაში თანაბარზომიერად მიმდინარეობდა.

**საშემოსავლო გადასახადი** 2017 წლის 12 თვის განმავლობაში შესრულდა 1153,73 ათ. ლარით, დაგეგმილი იყო 1281,0 ათ. ლარი და გეგმა შესრულდა - 90,14%-ით.

**ქონების გადასახადი** - შემოსავალი - 1261,45 ათ. ლარი, დაგეგმილი იყო - 1270,0 ათ. ლარი და გეგმა შესრულდა - 99,33%-ით.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა - 98,57%-ით, დაგეგმილი იყო - 10900,45 ათ. ლარი, ფაქტმა შეადგინა - 10744,7 ათ. ლარი. რატო ვერ შესრულდა???/

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 113,9%-ით. დაგეგმილი იყო 1975,74 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა - 2250,4 ათ. ლარი.

სულ შემოსავლების გეგმა 12 თვის განმავლობაში (ნაშთის ცვლილების გარეშე) შესრულდა 100,14%. მ.შ. საკუთარი შემოსულობების გეგმა 101,36%. სულ დაგეგმილი იყო - 15572,19 ათ. ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა - 15594,11 ათასი ლარი.

გადასახდელები

თვითმმართველი ქალაქი თელავის ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2017 წლისბიუჯეტის კანონით 17382,58 ათ. ლარის დონეზე განისაზღვრა და ფაქტიურად შეადგინა 14286,82 ათ. ლარი.

პროგრამები და ქვ.პროგრამები

1. თავდაცვა - გეგმა - 233,15 ათ.ლარი და შესრულება - 111,21 ათ. ლარი შესრულებამ - 47,69%.

შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზია - ზოგადი ხედვის კამერების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შეწყვეტით (SPA170013719). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემსყიდველი ორგანიზაციებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი ელექტრონული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტრო.

2. ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.
   გეგმა - 8749,31 ათ. ლარი, შესრულება - 6920,48 ათ. ლარი- 79,09%.
   შეუსრულებლობა რისი გამო - ???
3. განათლება

2017 წელს პროექტების განსახორციელებლად დაზუსტეული გეგმა შეადგენდა 2137,3 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 1884,44 ათ.ლარი - შესრულება 88,2%-ი. შეუსრულებლობა გამოწვეულია სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით, რომელიც ანაზღაურდება ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით და თანხა გაჩერებულია მუნიციპალიტეტის სახაზინო

ანგარიშზე.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი გეგმა - 2694,39 ათ.ლარი, შესრულება - 2203,67 ათ.ლარი - შესრულებაა 81,78%.

რამ გამოიწვია შეუსრულებლობა - რიგ დარგებში გარდამავალი ხელშეკრულებებით, რომელიც დასრულდება 2018 წელს. მაგ. სპორტის გნვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსის გარე კომუნიკაციის მოწყობა, ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

გეგმა - 1086,2 ათ.ლარი , საკასო შესრულება - 956,74 ათ.ლარი. შესრულება - 80,08%.

რამ გამოიწვია შეუსრულებლობა - სადღესასწაულო ამანათების შესაძენად გაფორმებული ხელშეკრულებები 2018 წელს ანაზრაურდება. ასევე გაჭირვებული და სოც. დაუცველი ფენის ბენეფიციართა მედიკამენტებით და სამედიცინო დახმარების დაფინანსებისთვის გაცემულია საგარანტიო წერილები და თანხის ანაზრაურება მოხდება 2018 წელს.

სულ გადასახდელების დაზუსტებული გეგმა (მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების და ვალდებულებების კლების მუხლის გათვალისწინებით) შეადგენდა - 17382,58 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 14286,82 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 82,19%-ით. საკუთარი შემოსულობების გათვალისწინებით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 13243,8 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11356,44 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 85,75%-ით.

სარეზერვო ფონდის ხარჯვა.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 3,69604 ათ.ლარი. რაც კარგად არის ჩაშლილია წარმოდგენილ ანგარიშში.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 27 დეკემბერს, რის შემდეგაც ბიუჯეტი განისაზღვრა 7284,3 ათ.ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები (რაც სრულად არის ჩაშლილი ბიუჯეტის ანგარიშში) და ამის გათვალისწინებით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 12034,22 ათ.ლარით.

შემოსულობების მიხედვით

2017 წლისგანმავლობაში შემოვიდა 3495,91 ათ.ლარი და გეგმა შესრულდა 98,5%. მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია. აქედან:

საშემოსავლო - გეგმა - 1100,0 ათ.ლარი , შესრულება - 943,91 ათ.ლარი - 85,81%.

ქონების გადასახადი - გეგმა - 2450,00 ათ ლარი, შესრულება - 2552,00 ათ.ლარი - 104,16%.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - გეგმა-700,00 ათ.ლარი; შესრულება - 778,01 ათ.ლარი-111,14%.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი - გეგმა-450,00 ათ.ლარი, 558,61 ათ.ლარი - 124,13%.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა - 99,5%

სულ შემოსულობების გეგმა შესრულდა 101,1%-ით. 2017 წელს დაგეგმილი იყო 10820,20 ათ.ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საერთო შემოსავალმა კი შეადგინა 10937,21 ათ.ლარი.

გადასახდელები

საერთო ჯამური მოცულობა - გეგმა - 11906,18 ათ.ლარი, შესრულება - 11490,17 ათ.ლარი - 96,50%.

ძირითად დარგებში: თავდაცვა, გარემოს დაცვა, საბინაო კომუნალური მეურნეობები, დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში, განათლების და სოც. დაცვის სფეროში დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით შესრულდა (რაც კარგად არის ჩაშლილი ბიუჯეტის წლიურ ანგარიშში).

პროგრამები/ქვ.პროგრამები

1. თავდაცვა
   გეგმა-174,8 ათ.ლარი, შესრულება -160,1 ათ.ლარი - 91,59%.
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.
   გეგმა - 5606,36 ათ.ლარი, შესრულება -5248,26 ათ.ლარი - 93,61%.
3. განათლება
   გეგმა-2031,1 ათ.ლარი, შესრულება - 2029,1 ათ.ლარი - 99,9%.
4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
   გეგმა - 1379,7 ათ.ლარი, შესრულება -1364,7 ათ.ლარი - 98,91%.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოც. უზრუნველყოფა.
გეგმა -614,20 ათ.ლარი, შესრულება - 592,1 ათ.ლარი - 96,4%.

სულ გადასახდელების დაზუსტებული გეგმა (მ.შ. სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების და ვალდებულებების კლების მუხლის გათვალისწინებით) შეადგინა - 12,34,22 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 11618,18 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა -96,54%-ით. საკუთარი შემოსულობების გათვალისწინებით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8658,92 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8560,43 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98,96%-ით.

<u>სარეზერვო ფონდების ხარჯვა</u>

2017 წლის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 51,65 ათ.ლარი, რაც კარგად არის ჩაშლილი წლიურ ანგარიშში.

<u>ნაშთის შესახებ</u>

2017 წლის 01 იანვრისათვის ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენდა 1498,78 ათ. ლარს. (აქედან 220,43 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 1278,35 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი);

2017 წლის 01 იანვრისათვის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენდა 1564,66 ათას ლარს, (აქედან 96,34 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 1468,32 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი).

საქართველოს მთავრობის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების, 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, თანახმად 2018 წლის 1 იანვრისათვის თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთი - 3713,49 ათ. ლარი (აქედან 1361,21 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 2352,28 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი);

ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებული ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის მასშტაბური ცვლილებებისა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამებისა და ქვ.პროგრამების არსებობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი უწყებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებს, საყურადღებოა მათ მიერ წლის განმავლობაში პროგრამების/ქვ.პროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის პროგრამებების გადანაწილებების მასშტაბურობა და სიხშირე.

გარკვეულ შემთხვევაში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება პროგრამების გადანაწილების უკუპროცესი, კერძოდ ადგილი აქვს იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების უკან მობრუნებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა.

რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს წლის განმავლობაში ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. რიგ შემთხვევაში გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსების ოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდა და საჭიროებს დამატებას.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, წლის ბოლოს, კერძოდ დეკემბრის თვეში, მკვეთრად იზრდება გადასახდელების ათვისება, მათ შორის „ხარჯები“-ს და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ნაწილში.

აღნიშნული გარემოება, წლის ბოლოსთვის, ზრდის აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსების არაეფექტურად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკს.

ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების და მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს:

ა) ასიგნებების დროულ და თანაზომიერად ათვისებაზე;

ბ) დამტკიცებულ ბიუჯეტში ხშირ და მასშტაბურ ცვლილებებზე;

გ) საბიუჯეტო სახსრების განაწილების უკუპროცესზე;

დ) დაუგეგმავი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შენიშვნები გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. შესაბამისად მომზადდა დასკვა. ასევე მიეცეს რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიას შენიშვნები გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

(დასკვა და რეკომენდაცია თან ერთვის ოქმს ორ ფურცლად)

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი